პროექტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება -----

2021 წლის ---- დეკემბერი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის #26 დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ

ქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“და ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლების საფუძველზე ალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დგენს:

მუხლი 1
ბათილად იქნას ცნობილი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის #26 დადგნილება და შესაბამისად ბათილად იქნას ცნობილი ამ დადგნილების დანართი №1.

მუხლი 2
ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც მოცემულია დანართი №2-ში.

მუხლი 3
ეს დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ----------

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის #26 დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ პროექტზე

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

2021 წლის 2 ოქტომბერს ჩატარდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა

არჩევნები, ხოლო 30 ოქტომბერს, ბათუმის მუნიციპალიტეტში, გაიმართა მერის არჩევნების მეორე ტური.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების

საბოლოო შედეგები დაადგინა 2021 წლის 13 ნოემბერს. 25 ნოემბერს

კი ცესკომ, რომელმაც არჩევნების შედეგები 12 დღით ადრე

დაადგინა, საკრებულოების პირველი სხდომის თარიღი დანიშნა 3

დეკემბერს. აღნიშნული კი ემსახურებოდა იმას, რომ წინა მოწვევის

საკრებულოს შემადგენლობით დამტკიცებულიყო მომავალი წლის

ბიუჯეტი, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სახელმწიფო

ხელისუფლება ახალ არჩეული საკრებულოს შემადგენლობაში

უმრავლესობით არ იყო წარმოდგენილი, ეს კი წინააღმდეგობაში

მოდის საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსის" პრინციპებთან. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბათუმის თვითმმართველობის ბოლო ათწლეულების ისტორიაში არ მოიძებნება ფაქტი, როდესაც ძველი მოწვევის საკრებულო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს მაშინ, როდესაც თვითმმართველობის მორიგი არჩევნები დასრულებულია და ცნობილია მომავალი მოწვევის საკრებულოს წევრების ვინაობაც. წმინდა ფორმალური მხარე - ახალი საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის ფაქტია საკმარისი მხოლოდ იმისათვის რომ ახალმა საკრებულომ დაწყოს მუშაობა და იმსჯელოს მომავალი წლის ბიუჯეტზე.

ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ეხება ეხება ნორმატიული აქტის ბათილობას და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოს

უფლებამოსილების ფარგლებს, მუნიციპალიტეტის 2022 წლის

ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხზე

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის

შესაძლებლობას გარდამავალ პერიოდში, მაშინ, როდესაც არჩეულია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი შემადგენლობა და როდესაც

ბიუჯეტის დამტკიცება, და შემდგომ მის შესრულებაზე კონტროლი, სწორედ მისი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4

პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი

თვითმმართველობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი

თვითმმართველობის მეშვეობით. მუნიციპალიტეტის ორგანოთა

არჩევნებში მოქალაქეებმა ნდობა გამოუცხადეს საკრებულოს ახალ

შემადგენლობას და მათ ანდეს ადგილობრივი მნიშვნელობის

საქმეების მართვა, მოქალაქეების აზრით სწორედ ეს შემადგენლობა

მოახერხებს მათი ინტერესების დაცვას. საქართველოს ორგანული

კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 135-ე მუხლის

პირველი პუნქტის თანახმად მორიგ არჩევნებში არჩეული

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს

უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. საკრებულოს ვალდებულებაა

მისი უფლებამოსილების ვადაში სულ ოთხჯერ დაამტკიცოს

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ვინაიდან სწორედ თვითონ

წარმოადგენს ადგილობრივ ხელისუფლებას და ბიუჯეტის

დამტკიცებაზე, შემდგომ კი, მის განკარგვაზე კონტროლი მთელი

წლის განმავლობაში სწორედ მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში

ექცევა. მოცემულ შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის წინა მოწვევის

საკრებულომ, მეხუთედ დაამტკიცა ბიუჯეტი, რაც პირდაპირი

კანონდარღვევაა და მისი უფლებამოსილების ფარგლებს სცდება. შესაბამისად არაუფლებამოსილი საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია. ნორმატიულ ადმინისტრაიცულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისას მომწმდება როგორც აქტის ფორმარული, ასევე მატერიალური კანონიერების საკითხი. აქტის მატერიალური კანონიერების დასადგენად გასათვალისწინებელია, რამდენად შეესაბა ის კანონით განსაზღვრული უფლებოსილების ფარგლებს. უკანონი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია და შესასრულებლად არ გააჩნია სავალდებულო ძალა.

საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და თავისი პასუხისმგებლობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია. მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, როგორც წესი იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ, რომლის მიზანიც წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილება გონივრულ

ვადაში, რათა დაცულ და მიღწეულ იქნას დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილება, კი გულისხმობს, რომ ახალ არჩეული საკრებულო იძენს საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსით, დადგენილ სრულ და ექსკლუზიური უფლებამოსილებებს, ხოლო წინა მოწვევის საკრებულო იხსნის უფლებამოსილებას ახალი საკრებულოს წინაშე.

საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლით გაწერილი ექსკლუზიური უფლებამოსილების რიცხვს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობები ირჩევა 4 წლის ვადით, მისი ექსკლუზიური უფლებაა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება, მისი უფლებამოსილების ვადაში მაქსიმუმ ოთხჯერ. ორგანომ, რომელმაც დაამტკიცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, შემდგომ ახორციელებს კონტროლს მის მიერვე დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებაზე. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ძველი მოწვევის საკრებულო ამტკიცებს მომავლი წლის ბიუჯეტს, ხოლო შემდგომ ამ ბიუჯეტის კონტროლი ახალი საკრებულოს პასუხისმგებლობაში გადადის, ვერ იქნება კანონიერი და მართლზომიერი. კანონმდებელი ამ უფლებამოსილებას ანიჭებს მოქმედ, კონკრეტული ვადით არჩეულ საკრებულოს. შესაბამისად, ნორმის იმგვარი განმარტება, რომლითაც ვადაგასული საკრებულოსთვის ნებადართულია ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება, წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით

განმტკიცებული თვითმმართველობის არსთან, ამასთანავე ამ პრინციპის პრაქტიკაში დანერგვა, პირდაპირ აზიანებს წარმომადგეენლობითი დემორატიის პრინციპებს და საფრთხეს უქმნის სამართლიანი არჩევნების, როგორც დემორკრატიის მთავარი ქვაკუთხედის მნიშვნელობას.

საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით. წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. აღმასრულებელი ორგანოები აღასრულებენ წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებებს და ანგარიშვალდებული არიან მათ წინაშე.

2021 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ გამოხატა თავისი ნება და აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი შემადგენლობა, 2017 წლის მოწვევის საკრებულოს მიერ მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება კი არა მხოლოდ ახალ არჩეული საკრებულოს მიტაცებას, არამედ ამომრჩევლის ნების უგულვებელყოფასაც წარმოადგენს.

2017 წლის მოწვევის საკრებულო არ იყო უფლებამოსილი, რომ მისი საქმიანობის ვადის განმავლობაში მეხუთედ დაემტკიცებინა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ხოლო საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ახალ არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე, ძველ საკრებულოს უფლებამოსილება უნარჩუნდება, უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების გადაბარების პროცედურის გამართულად წარმართვას. ასევე წარმოადგენს გარკვეულ დამზღვევ მექანიზმს, იმ შემთხვევისთვის, თუ მორიგი არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი და დაინიშნა ხელახალი არჩევნები, საკრებულოს ახალი შემადგენლობის არჩევამდე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანოებმა არ

შეწყვიტოს ფუქნციონირება და არ დაზიანდეს მოსახლეობის ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში კი წინა მოწვევის საკრებულომ განახორციელა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების და ღირებულებების საწინააღმდეგო ქმედება, რაც

გამოიხატა ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების მითვისებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის მოწვევის საკრებულოს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ 2021 წლის 26 ნოემბრის NN№26 დადგენილება ბათილად უნდა იქნას ცნობილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60(პრიმა) მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 25-ე და 91-ე მუხლების საფუძველზე.

გ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

აღნიშნული პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს.

დ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

ე) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები დარგის სპეციალისტებისგან (იურისტები, ფინანსისტები).